შეფარდებული ჰქონდა აღნიშნული პატიმრობა – 60 დღე–დამემდე) დაპატიმრების საკითხი.

განკარგულება გამოიტანება ზეპირი მოსმენის საფუძველზე, დაკავებული პირის წარდგენიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა. პატიმრობის შესახებ განკარგულება

დაუყოვნებლივ შედის ძალაში. მისი გასაჩივრება ერთჯერადად შესაძლებელია ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში პატიმრობის შესახებ განკარგულების ასლის ჩაბარებიდან 48 საათის განმავლობაში.

პირის დაკავება შეუძლია ასევე სასამართლოს მანდატურსაც სასამართლოში წესრიგის დარღვევის, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის ან სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში, რის შესახებაც ადგენს დაკავების ოქმს. მანდატური დაკავებულ პირს დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა, წარუდგენს იმავე სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც დაკავებული პირის წარდგენიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა, უფლებამოსილია დამრღვევი პირის მიმართ გამოიყენოს დაჯარიმება ან დაპატიმრება.

დაპატიმრების შესახებ საქმის განხილვისას სასამართლო დაკავებულ პირს აცნობებს საქმის განხილვის დროსა და ადგილს. მხარის გამოუცხადებლობა არ იწვევს სხდომის გადადებას. ზეპირი მოსმენისას დამრღვევ პირს/მის დამცველს საშუალება ეძლევა, სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი მოსაზრებები და მისცეს განმარტებები დაკავების კანონიერებისა და პასუხისმგებლობის ზომის თაობაზე. მხარეთა მოსმენის შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარეს (მოსამართლეს) ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პატიმრობის გამოყენების შესახებ.

www.hcoj.gov.ge

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

www.hcoj.gov.ge

Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ)

GTZ-Offise Tbilisi 41,Shartava Str.
0160, Tbilisi Georgia

gtz

Herausgeben mit finanzieller Unterstützung der Deutschen Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (**GTZ**) ფინანსური მხარდაჭერით

2008 ©

პროცესის მონაწილეთა და სხდომაზე დამსწრე პირთა ვალდებულებები სასამართლოში



www.hcoj.gov.ge

ქცევის წესები სასამართლოში
სასამართლოში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა
პასუხისმგებლობა სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
E-mail: council@hcoj.gov.ge

სასამართლოში წესრიგის უზრუნველყოფას, ასევე საქმის განხილვის მიმდინარეობისას პროცესის მონაწილეთა და სხდომაზე დამსწრე პირთა მიერ დადგენილი ქცევის წესების დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს შეუფერხებელი საქმიანობისა და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.

სასამართლოში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო სხდომის დარბაზში – სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე).

სასამართლოს მანდატურის სამსახური

სასამართლოში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ახორციელებს მანდატურის სამსახური. სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს მოსამართლეების, სასამართლო პროცესის მონაწილეებისა და მოწმეების უსაფრთხოებას; აღკვეთს სასამართლოს შენობაში სამართალდარღვევას, ავლენს დამრღვევებს, აუცილებლობის შემთხვევაში აკავებს მათ და ადგენს ამის თაობაზე დაკავების ოქმს.

სასამართლოს მანდატურს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური ძალა და სპეციალური საშუალებები იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა, შედარებით მსუბუქი ზომების გამოყენებით შეუძლებელია მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. შეიარაღებული თავდასხმის მოგერიებისას მანდატური უფლებამოსილია კანონით დადგენილი წესით გამოიყენოს იარაღი.

ქცევის წესები სასამართლოში

• სასამართლოს შინაგანაწესით შესაძლებელია აიკრძალოს სასამართლოს შენობაში შესვლა პირადობის მოწმობის გარეშე, სასამართლოს ტერიტორიაზე შესვლა ავტომანქანით, ხმაური, თვითნებური შელწევა მოსამართლეებისა და სასამართლოს აპარატის სამუშაო ოთახებში, სხდომის დასრულების შემდეგ სხდომის დარბაზში დარჩენა და სხვ.

• პროცესზე დაგვიანებული პირები სასამართლო სხდომის დარბაზში არ დაიშვებიან, გარდა სხდომის თავმჯდომარის ნებართვისა

• სასამართლოს სხდომის დარბაზის ფართობიდან გამომდინარე შეიძლება სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) მიერ შეიზღუდოს სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირთა რაოდენობა

• პირები, რომლებიც ესწრებიან სასამართლო სხდომას, ვალდებულნი არიან შეინარჩუნონ სიმშვიდე, ხელი არ შეუშალონ სასამართლოს საქმიანობას, გამორთონ მობილური ტელეფონები და დაიცვან სიწყნარე, დაემორჩილონ სხდომის თავმჯდომარის განკარგულებებს, ასევე შეასრულონ მანდატურის მითითებები

• აკრძალულია და იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას სასამართლოს შესასვლელის ბლოკირება, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას ან სასამართლოში ანდა მისგან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე

რა ზომები შეიძლება იქნეს გამოყენებული წესრიგის დამრღვევის მიმართ

სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შემთხვევაში მოსამართლეს შეუძლია დააჯარიმოს ან სხდომის დარბაზიდან გააძევოს პირი. თუ გაძევებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს მის გაყვანას სასამართლოდან, ამასთანავე, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჯარიმა ან პატიმრობა.

ჯარიმის ოდენობა შეიძლება იყოს 50–დან 500 ლარამდე ოდენობით. თუ დაჯარიმებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) შეუძლია დაუყოვნებლივ გაზარდოს ჯარიმის ოდენობა 500 ლარის ფარგლებში. დაჯარიმების შემთხვევაში გაიცემა საალსრულებო ფურცელი. ჯარიმის ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში პირს ჯარიმასთან ერთად დაერიცხება საურავი:

• 150 ლარის ოდენობით – 50–დან 250 ლარამდე დაჯარიმების შემთხვევაში

• 300 ლარის ოდენობით – 250–დან 500 ლარამდე დაჯარიმების შემთხვევაში.

სხდომის დარბაზიდან გაძევებულ პირს არა აქვს უფლება დაესწროს პროცესს იმავე ინსტანციის სასამართლოში ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლო განხილვის დასრულებამდე. მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) უფლებამოსილია გაძევებულ პირს მისცეს სხდომაზე დაბრუნების შესაძლებლობა.

დამრღვევის დაკავება და დაპატიმრება

თუ სასამართლო სხდომაზე პირის ქმედება მიმართულია პროცესის ჩაშლისაკენ ან იგი გამოხატავს აშკარა ან/და უხეშ უპატივცემულობას სასამართლოს (მოსამართლის), პროცესის მონაწილის ან მხარის მიმართ, სხდომის თავმჯდომარის მითითებით მანდატური აკავებს დამრღვევს და ადგენს დაკავების ოქმს. დაკავებული პირი, დაკავებიდან 24 საათის განმავლობაში წარედგინება შესაბამის სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს პირის 30 დღე–ღამემდე (ხოლო თუ ერთხელ უკვე